



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 13
04/03/2021

13-06-4-202103041447



2020 წელს კომისიებისა და ფრაქციების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-
მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის, შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

- ინფორმაცია 2020 წელს კომისიებისა და ფრაქციების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ მიღებულ იქნას ცნობად /დანართი თან ერთვის/.
- კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს შესაბამის კომისიას.
- განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა

საკრებულოს თავმჯდომარე
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ინფორმაცია

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების და ფრაქციების მუშაობის შესახებ

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიები შეიქმნა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-მუხლის შესაბამისად საკრებულოს დებულებით დადგენილი წესით. კომისიები შეიქმნა დებულებით დადგენილი საკითხების, საკრებულოში წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულების ხელისშეწყობის, გამგეობისა და მისი სტრუქტურული ერთეულების კონტროლის მიზნით. ამავე კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად შეიქმნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციები.

სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია ყურადღებას აქცევს საკრებულოს წევრთა მიერ რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვას, განსაზღვრავს საკრებულოს კომისიებში საკრებულოს წევრთა პროპორციული გადანაწილების კვოტებს, აქედან გამომდინარე საკრებულოს წევრთა აბსოლიტური უმრავლესობა გაერთიანებულია და მონაწილეობს ერთ ან ორ კომისიის შემადგენლობაში.

2020 წლის მიმდინარეობაში კომისიების და ფრაქციების შემადგენლობაში განხორციელდა ცვლილება საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის- მამუკა ჩაჩხიანის გარდაცვალების გამო, ხოლო კომისიების და ფრაქციების რაოდენობა არ შეცვლილა და გვაქვს 5 ერთეული კომისია და 5 ერთეული ფრაქცია.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი და რიგგარეშე სხდომათა რაოდენობამ სულ 2020 წელს შეადგინა 21 ერთეული. სადაც მიღებული იქნა 25 დადგენილება 77 განკარგულება.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიები და ფრაქციები აქტიურად განიხილავენ მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ ყველა საკითხს, იყო გარკვეული სახის დისკუსიები, რამაც გამოიწვია ზოგიერთი საკითხის შემდეგი სხდომებისთვის ხელმეორედ მომზადება, ასევე გარკვეულ საკითხთა დაკავშირებით დამატებით შემსწავლელი კომისიის შექმნა.

საკრებულოს კომისიების მიერ ჩატარდა 59 კომისიის სხდომა. აქედან აქტიურობით გამოირჩევა „საფინანსო-საბიუჯეტო“ და „ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა“ კომისიები. ასევე ჩატარდა 24 ფრაქციის სხდომა და დაფიქსირდა შესაბამისი სხდომის ოქმებით.

საკრებულოს სხდომებზე დეპუტატების დასწრებამ შეადგინა 75% , მაგრამ აღსანიშნავია , რომ დაბალია რიგგარეშე სხდომებზე დეპუტატების დასწრება.

მე, როგორც საკრებულოს წევრმა და კომისიის თავმჯდომარემ მომავლისათვის მინდა დავაყენო ერთი წინადადება: ჩვენ ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოს, მის სტრუქტურულ ერთეულებს და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუნდებულ იურიდიული პირების საქმიანობაზე კონტროლი წარმოადგენს საკრებულოს კომისიების საქმიანობის ძირითად ფუნქციებს, მაგრამ საკრებულო არ იქმნება პროფესიული ნიშნით, ამიტომაც კონტროლის ფორმაც და შეფასებაც არაპროფესიულია, არამედ უნდა ვთქვათ , რომ უფრო მეტად პოლიტიკური ხასიათისაა. ამიტომაც ვთვლი, რომ უმჯობესი იქნება კომისიის მიერ კონტროლის განხორციელება არ უნდა იფარგლებოდეს მხოლოდ

აღმასრულებელი სტრუქტურებიდან ინფორმაციის მიღებით და ანგარიშის მოსმენით, არამედ ამ საკითხში ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი კონტროლის ფორმის გამოყენებაც.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უკმაყოფილება , რომელსაც ისინი გამოხატავენ შეხვედრების დროს მათი ნაკლები ინფორმაციულობის შედეგია. მოგეხსენებათ ადგილობრივი „კოდექსის“ 88 მუხლის შესაბამისად თანამდებობის პირი, მათ შორის ყველა დეპუტატი ვალდებულია წელიწადში ერთხელ წარსდგეს მოსახლეობის წინაშე ანგარიშით გაწეული მუშაობის შესახებ. მიუხედავად საქართველოში გავრცელებული „კოვიდ-19“ ინფექციის გამო დაწესებული რეგულაციებისა, რომელიც ზღუდავს ფართო მასშტაბიან შეხვედრებს, ვერ იქნება იმის მიზეზი, რომ ჩვენი გაწეული მუშაობის ერთწლიანი შედეგი ინფორმაციის სახით ვერ მივაწოდოთ ჩვენს ამომრჩევლებს.

მოსახლეობასთან შეხვედრების დროს გამოხატული პრობლემები უნდა განვიხილოთ კომისიების და ფრაქციების შესაბამის სხდომებზე, მივაწოდოთ განხილვის შედეგები მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურების და საკრებულოს ბიუროს.

აღნიშნული ქმედება გააქტიურებს მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს კომისიების და ფრაქციების მუშაობას , რაც დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.